ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 155

"26" დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.ნ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.ნ.: 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის №25.2269.2544 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის" (ს.ნ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში", ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი [●] / [●] / [●] წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში: სააგენტო), წარმოდგენილი [●] (პ.ნ.: [●]) მიერ;

მეორე მხრივ, შპს „ქართლიენერჯი“ (ს.კ.: 404561568, შემდგომში: მოიჯარე / კომპანია) წარმოდგენილი [●] (პ.ნ.: [●]) მიერ,

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: მხარეები,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ.: 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №ე-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების“ (შემდგომში: ხელშეკრულება), ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [●] №[●] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [●] №[●] განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში: შეთანხმება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ხელშეკრულების 4.1.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო(ები)დან შესაბამისი ნებართვ(ებ)ის / თანხმობ(ებ)ის მოპოვება და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტთან შეთანხმება არაუგვიანეს 2026 წლის 01 მაისისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია გამარჯვებულის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით, ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში, სააგენტოს წერილობითი თანხმობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, დამტენების განთავსებისა და ფუნქციონირების დაწყების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტით დადგენილ ვადას;“

1.2. ხელშეკრულების 4.1.2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.2. დამტენების განთავსება და ფუნქციონირების დაწყება არაუგვიანეს 2026 წლის 01 ივნისისა.“

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

4. შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. წინამდებარე შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას უზრუნველყოფს მოიჯარე.

6. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

7. შეთანხმება, შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

ხელმოწერები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
[●] (პ.ნ.: [●])

_____

შპს „ქართლიენერჯი“
[●] (პ.ნ.: [●])

_____